პროექტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გადაწყვეტილება

,,თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 აგვისტოს №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 აგვისტოს №9 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადმინისტრაციულ საქმეთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ბ.ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დავები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დავები; ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების განხორციელების თაობაზე დავები; აღიარებითი სარჩელის თაობაზე დავები; **შრომითი დავები**; სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები; სახელმწიფო სოციალური დაცვის თაობაზე დავები; საგადასახადო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები; საარჩევნო დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **VII[1], VII[3]- VII[5], VII[7] , VII[9], VII[11] -VII[27]** თავებით განსაზღვრული დავები;

ბ.ბ) ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების თაობაზე დავები; ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან

დაკავშირებული დავები; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები; მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **VII[1], VII[3]- VII[5], VII[7] , VII[9], VII[11] -VII[27]** თავებით განსაზღვრული დავები;“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი